ლელო

№ 93
(11 242)

24 – 26 ნოემბერი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი XV ტური

დილა (გორი) – მერანი-91 (თბილისი) 3-3,
დინამო (ბათუმი) – არსენალი (თბილისი) 1-1,
სამგურალი (წყალტუბო) – დინამო (თბილისი) 0-3,
გურია (ლანჩხუთი) – გორდა (რუსთავი) 3-4,
ლოკომოტივი (თბილისი) – თსუ 3-1,
ტორპედო (ქუთაისი) – სიონი (ბოლნისი) 4-0,
იბერია (სამტრედია) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 2-2,
ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – ოდიში (ზუგდიდი) 1-0

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	(-)
დინამო (თბილისი)	14	11	3	0	44-3	36	(-6)
ტორპედო (ქუთაისი)	15	11	2	2	42-14	35	(-10)
კოლხეთი-1913 (ფოთი)	14	8	3	3	33-16	27	(-15)
ლოკომოტივი (თბილისი)	15	6	9	0	18-6	27	(-18)
დინამო (ბათუმი)	15	6	6	3	23-14	24	(-21)
დილა (გორი)	15	6	4	5	21-21	22	(-23)
იბერია (სამტრედია)	15	5	3	7	26-30	18	(-27)
არსენალი (თბილისი)	15	4	6	5	19-25	18	(-27)
მერანი-91 (თბილისი)	15	3	8	4	13-16	17	(-28)
ოდიში (ზუგდიდი)	15	5	1	9	12-25	16	(-29)
გორდა (რუსთავი)	15	3	7	5	12-18	16	(-29)
სიონი (ბოლნისი)	15	4	3	8	15-32	15	(-30)
ვიტ-ჯორჯია (თბილისი)	15	5	2	8	14-17	14	(-31)
სამგურალი (წყალტუბო)	15	4	2	9	13-31	14	(-31)
თსუ	15	3	4	8	14-21	13	(-32)
გურია (ლანჩხუთი)	15	3	1	11	17-39	10	(-35)

შენიშვნა: „ვიტ-ჯორჯიას" დაკლებული აქვს სამი ქულა. პირველი წრის დარჩენილი მატჩი: „დინამო" (თბ. — „კოლხეთი-1913" გაიმართება 30 ნოემბერს.

საფეხბურთო ფორუმი — სიახლე დასკვნებით

საჯაროობა კარგია, მაგრამ შემზადება უნდა

ფეხბურთის სპეციალისტები, ჟურნალისტები, გულშემატკივრები — აი, ის ხალხი, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში შეიკრიბა საფეხბურთო ფორუმზე. სხვათა შორის, ასეთი თავყრილობის გამართვის იდეა არახალია. გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე თვის წინათ მურთაზ ხურცილავამ შესთავაზა საზოგადოებრიობას ანალოგიური შეხვედრა. მაშინ არ გამოვიდა — სფფ-ს იმდროინდელმა ჩინოსნებმა არ მოინდომეს: აბა, ვის აძლევდა ხელს უხერხული შეკითხვები, პოლემიკა, აზრთა ჭიდილი.

ქართული ფეხბურთის სათავეში მოსულმა ახალმა ძალებმა წინასაყრილობო დანაპირებს ფედერაციის გამჭვირვალობის შესახებ ხორცი შეასხეს და ფორუმი მოიწვიეს. „სიმა-

იხ. მე-3 გვ.

ზინედინ ზიდანი: „საშინელი ძალის გამარჯვებისკენ სწრაფვა და გამძლეობა გვქონდა"

მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ რონალდო აღიარეს, ზიდანს კი გამოკითხვის შედეგად მეექვსე ადგილი არგუნეს. რას ვიზამთ, უსამართლობების გარეშე ცხოვრებას აბა რა ხიბლი ექნებოდა. ფეხბურთიც ცხოვრების ნაწილია და იქაც ბევრს დაუმსახურებლად უკმევენ ხოლმე. მაგრამ ზინედინ ზიდანი მაინც საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, მონდეალის შემდეგაც რამდენიმეჯერ დაამტკიცა, რომ ის „მეექვსეზე" გაცილებით მეტის ღირსია.

● ***ახლა როგორ გრძნობთ თავს?***

— უჩვეულოდ. მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებამ თვითდაჯერებულობის ბრწყინვალე გრძნობით აღმავსო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი მიდგომა საქმისადმი შეიცვალა — გათვითცნობიერებული მაქვს, რომ იძულებული ვარ ვიღვაწო გუნდისთვის უფრო მეტი, ვიდრე ოდესმე. ჩვენ ძალიან ბევრს მივაღწიეთ და შეგვიძლია ასე გავაგრძელოთ კიდეც.

● ***„იუვენტუსი" ზიდანისგან საუკეთესო სეზონს ელის...***

— მზად ვარ ამისთვის. მე კიდევ უფრო მეტი ნადავლის მოპოვება მსურს. მსოფლიო თასის მოგება ძლიერ ამაღელვებელი იყო, მაგრამ მან შიმშილის გრძნობაც აღმიძრა უფრო მეტი წარმატებებისათვის. ლიგის (სერია A) რიგით მესამე მოგება ბრწყინვალე იქნება.

● ***„იუვეს" ბევრი ახალი ფეხბურთელი არ დაუმატებია, ასე არ არის?***

— რატომ უნდა დაემატებინა? გუნდი მაშინ უნდა შეიცვალოს თუ ის ვერ იმარჯვებს. ასე რომ, კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სწორი გახლდათ.

● ***„სკუდეტოს" მოპოვების ფავორიტებად რომელ გუნდებს მიიჩნევთ?***

— ასეთები, ალბათ ბევრია. მათ შორის „ინტერს" და „პარმას" გამოვყოფდი. როცა ბაჯო ფორმას აღიდგენს, მაშინ ასეთი „ინტერი" — რონალდოსთან და ბაჯოსთან ერთად ძალიან ძლიერად მეჩვენება.

● ***„მილანი"?***

— ბევრი ამ გუნდს ფავორიტებში არ თვლის, რადგან ბოლო ორ სეზონში „მილანმა" წარუმატებლად იასპარეზა. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ გათამაშებული ბოლო 7 „სკუდეტოდან" ოთხში გაიმარჯვა, დანარჩენ სამში — „იუვემ".

● ***ჩემპიონთა ლიგაზე რას გვეტყვით?***

— დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის თუ როგორ წავაგეთ შარშან ფინალი ამსტერდამში. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ ტურნირში ჯერჯერობით ყოველთვის ვმარცხდები.

● ***შესაძლოა ეს ბოლო სეზონი იყოს მარჩელო ლიპისთვის „იუვეში"?***

— ალბათ. ხმები მისი „ლაციოში" გადასვლის თაობაზე ხომ ყველას გვსმენია. ადვილი არაა, როცა იცი, რომ მწვრთნელი მალე გუნდიდან წასვლას აპირებს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს ჩვ-

იხ. მე-5 გვ.

„სვე-ბედის" გენერალი

ვაგრძელებთ საუბარს გენერალ კაპიტონ ნაჭყებიას ვაჟიშვილთან ოთარ ნაჭყებიასთან (იხ. „ლელო" №92)

● *ბატონო ოთარ, თბილისში, დელისის იპოდრომის მშენებლობის პერიოდი ჩვენს თაობასაც ახსოვს. ბავშვებმა იცოდნენ, რომ ამ ტერიტორიის მომიჯნავე ბორცვზე ომისდროინდელ გერმანელ ტყვეთა სასაფლაო იყო, მერე ეს ტერიტორია მწვანე ნარგავებმა დაფარა...*

— ბატონი კაპიტონის დამსახურებაა, რომ სასაფლაო კი არ განადგურდა, ყველა საფლავზე თითო ნაძვის ხე დაარგვევინა და იგი იპოდრომის ტერიტორიაში შემავალ გამწვანების ზონად გამოაცხადა, ასეცაა დაფიქსირებული ძველ დოკუმენტებში. იქ დღეს უკვე საერთაშორისო სტატუსის სამხედრო ტყვეთა სასაფლაოზე, დიდი ჯვარიცაა აღმართული.

მარცხნიდან: ბუდიონი, ტულენევი და კაპიტონ ნაჭყებია

● *ბატონი კაპიტონი რომელ წლებში მუშაობდა იპოდრომის დირექტორად?*

— ჯერ ის ვთქვათ, რომ 1949 წლის ბოლოს, 48 წლისა, იძულებით გაუშვეს თადარიგში და, რაკი ცხენებზე ასე იყო შეყვარებული, საქართველოში მეცხენეობის, ანუ მაშინ არსებული ორი საჯინიბოს უფროსად ჩამოაქვეითეს. ირონიულად ამბობდა: სხვებმა ვერ დამიფასეს ერთგული სამსახური, ცხენი გამიგებს და ცხენოსნობა მაცხონებსო. გული არ გაუტეხია. დაჯდა და თავად შეადგინა იპოდრომის პროექტი, ბევრი ეხმარებოდა, ლანდშაფტური გეგმა კი შეადგინა ცნობილმა დენდროლოგმა, ქალბატონმა ნელი ციციშვილმა. ბატონი კაპიტონი მშენებლობას თავად ხელმძღვანელობდა და ფიზიკურადაც შრომობდა.

● *იპოდრომის გახსნის ზეიმში ალბათ თქვენც მონაწილეობდით. თუ გაიხსენებთ იმ დღეს?*

— საზეიმოდ იპოდრომი, როგორც სრულყოფილი კომპლექსი, გაიხსნა 1959 წელს. თუმცა, იქ მანამდეც ტარდებოდა სხვადასხვა ცხენოსნური შეჯიბრება. ზეიმზე წარმოდგენილი იყო ცხენოსნობის ეროვნული სახეობები, რომელსაც მეც ვმსაჯობდი; ამასთან, დავალებული მქონდა შემექმნა ფოტოქრონიკა.

● *ახალი, თანამედროვე, იმხანად სსრ კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო იპოდრომის გახსნა, ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ჩვენ ვნახეთ მაშინდელი ფოტო-კინო დოკუმენტები, სადაც ბევრი ცნობილი პიროვნება ამოვიცანით...*

— იპოდრომის გახსნას ესწრებოდნენ საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მახსოვს ბატონ ნიკო კეცხოველის თამადობა ბანკეტზე. იქ იყო უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, სამედიცინო ინსტიტუტის, სხვა უმაღლესი სასწავლებლების მთელი პროფესურა, იყვნენ მწერლები, მსახიობები, მათ შორის გოგლა ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია ჩოხით, გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც ექსპრომტიც უძღვნა იპოდრომს. როგორც ეროვნული კულტურის კერას. შემდეგ იმ წელიწადს ყოველ შაბათკვირას იმართებოდა დოღი,

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური გიწვევთ

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური ჟურნალისტებთან, სპორტის გულშემატკივრებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ტრადიციული შეხვედრების მორიგ პრესკონფერენციას გამართავს ხუთშაბათს, 26 ნოემბერს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში 12 საათზე.

სპორტის
დეპარტამენტის პრესსამსახური

დაჯილდოება

საქართველოში სპორტისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სპორტის ვეტერან მუშაკთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ***ივანე ბოჭორიძე*** საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ***ღირსების ორდენით.***

„სვე-ბედის“ გენერალი

(პირველი გვერდიდან)

რას. შემდეგ იმ წელიწადს ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა დოღები, რაც ბანკეტით მთავრდებოდა. ბანკეტს რიგრიგობით მართავდნენ ცალკეული დარგების წარმომადგენლები და ლოცავდნენ ეროვნული ტრადიციების აღორძინებას. პურ-მარილი იშლებოდა იმ ადგილზე, სადაც მერე რესტორანი „ისინდი“ აღმოცენდა. ისე, თავიდან, ეს ნაგებობა აიგო როგორც საცხენოსნო კლუბი მანეჟთან ერთად, სადაც მომავალში კავკასიის საცხენოსნო აკადემიაც უნდა გახსნილიყო, მაგრამ „რესტორანომანიამ“ აჯობა ეროვნულ ჩანაფიქრს.

1959 წ. ოთარ ნაჭყებია

● ამას წინათ, ერთ სოლიდურ გაზეთში, ერთმა სოლიდურმა პიროვნებამ, პროფესორმა გამოაქვეყნა მოსაზრება, რომ იპოდრომის ტერიტორიაზე გაშენდეს ახალი სასაფლაო-პანთეონი.

— ყველა დროში სკას ფუტკარი აშენებს, ეს კი ბუზის აზრია. ჩვენი იპოდრომის ნგრევა სსრ კავშირის ნგრევასთან ერთად დაიწყო, გეგონება ერთმანეთთან რაიმე პირდაპირ კავშირში ყოფილიყოს — ხან მიტინგები, ხან გვარდია, ხან შეიარაღებულთა თავშეყრა. ტერიტორიაზე გაიჩეხა ხეები, გაიტაცეს ქონება, ახლა სასაფლაო?.. ესე იგი, საბოლოოდ დავასამარეთ ეროვნული კერა?

● დღემდე არაფერი დაწერილა მოსკოვში 1951-1952 წლებში საკავშირო საცხენოსნო ზეიმებზე ქართველ მხედრებთან ვასილი სტალინის მეგობრობაზე. რას იტყოდით?

— საქართველოს გუნდი ვასილი სტალინის შტაბის შენობაში ცხოვრობდა, მოსკოვის სამთავრობო აეროდრომის მიდამოებში, სამხედრო-სპორტულ ბაზაზე. თავად ბრწყინვალე სპორტსმენი, დილაადრიან ჩვენებთან ვარჯიშობდა ეროვნულ სახეობებში — თამაშობდა ისინდს, ცხენბურთს, განსაკუთრებით უყვარდა ყაბახი. ყოველდღე რაიმე სიურპრიზს გვთავაზობდა. მაშინ ცნობილი მხედარი, ჩვენი საყვარელი მურიკო ძიძიგური თავისი ამერიკული თვითმფრინავითაც ასეირნა და პარალელური შტურვალიც ანდო. ამ სიამოვნებას არც სხვებს გვაკლებდა. გვჩუქნიდა ძვირფას ნივთებს. პირადად მე სპორტული შვილდ-ისარი მისახსოვრა, მამაჩემს — ინგლისური ჯიშის ცხენი! სოხუმის საცხენოსნო ბაზას სწორედ ის პლანერი აჩუქა გასაშვები მოწყობილობით, რომლითაც ჩვენ გვართობდა. საპლანერო სპორტმა იმ პერიოდიდან გამიტაცა.

კაპიტონ ნაჭყებია (პირველ რიგში მარჯვენიდან მეორე) ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის იუნკერთა ამხანაგობა „სვე-ბედის ვარსკვლავის“ ყოველწლიურ ტრადიციულ შეხვედრაზე

მარცხნიდან: მერი ცანავა, ლეილა გორდელაძე, ლამარა გიორგობიანი

● დავუბრუნდეთ თქვენს ოჯახს. რამდენადაც ვიცით, დედათქვენიც სპორტული ოჯახიდან იყო.

— დედა შვეიცარიულ-გერმანული წარმოშობის შვაბური ოჯახიდან გახლდათ, მისი წინაპარი ბოლნისში ჩამოსახლებულა 1818 წელს. ოჯახს ტრადიციულად მოსდგამდა ცხენოსნობის და ნადირობის სიყვარული. გამოჰყავდათ ცხენების ახალი ჯიშებიც. გერმანელთა თემში, ბოლნისში, ძალიან პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. ოფიცერთა ხუთჭიდი, რომელსაც ქალებიც ეუფლებოდნენ. დედაც ხუთჭიდს მისდევდა. თემის დასახლება სტრატეგიულ გზაჯვარედინზე იყო და ყველა, მათ შორის ქალებიც, ვალდებულნი იყვნენ მიეღოთ ფიზიკური წრთობა, გაევლოთ სამხედრო მომზადება. მოხუცი შვაბიც კი ბოლომდე მკვირცხლი და მოძრავი რჩებოდა, მხნედ გამოიყურებოდა. სათვისტომოს ჰყავდა სპორტული გუნდებიც, კერძოდ, ფეხბურთში, რომელიც 1937 წელს მოსკოვში ჩასულა და ჩემპიონიც გამხდარა.

● შევთანხმდეთ, საქართველოში გერმანელთა სათვისტომოს სპორტულ ცხოვრებაზე, ცალკე ვესაუბროთ მკითხველს. თანახმა ბრძანდებით?

— დიდი სიამოვნებით. მით უმეტეს, რომ სულ მალე, საქართველოში შვაბთა ჩამოსახლების 180 წელი სრულდება.

წერილი რედაქციას!

თვითნებობა ღრმავდება

ამ დღეებში გულისყურით წავიკითხეთ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა ბორჯომის სტადიონის სპორტულ კომპლექსზე შექმნილ საგანგაშო ვითარებას. ჩვენ, კურორტ-ქალაქის სპორტის გულშემატკივრები, დიდი ხანია აღშფოთებული ვართ მავანთა თვითნებობით, მაგრამ სამართალი ვერსად გვიპოვნია. აგერ, არჩევნებმაც ჩაიარა, შეცვლით კი არაფერი შეცვლილა — სპორტი ბორჯომში უფსკრულისკენ მიექანება, ალბათ აქ, მომავალში ვეღარც საქართველოს ნაკრები გუნდები, განსაკუთრებით ფალავნები ჩამოვლენ საწვრთნელ შეკრებებზე. ყველას თვალწინ, მათ შორის ცხადია, რაიონების ხელმძღვანელებისაც, ბორჯომის ცენტრალური კომპლექსი ნადგურდება და ნიავდება, შეუნელებელი ტემპით იცვლის პროფილს, მომრავლდა სავაჭრო და სხვა ობიექტები, სპორტის ბედს კი გამკითხავი არავინ ჰყავს.

ძალიან გთხოვთ, თქვენს გაზეთში საგანგაშო ზარებს კიდევ ერთხელ შემოჰკარით, თორემ შეიძლება ეს ცენტრალური სპორტული ბაზა. სულ მალე საერთოდ ამოირიცხოს საქართველოს სპორტული ობიექტების ნუსხიდან.

გემუდარებით, იქნებ კიდევ ერთხელ გააგებინოთ ქვეყანას ჩვენი გასაჭირი.

სპორტის მოყვარულთა ჯგუფი,
ბორჯომი

ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

ხონი

რაიონის გარდაცვლილ ფეხბურთელთა ხსოვნას მიეძღვნა ტურნირი ფეხბურთში, რომელიც ამას წინათ გაიმართა ცენტრალურ სტადიონზე, მასში მონაწილეობდა სოფლების საკრებულოთა და რაიონის ვეტერან ფეხბურთელთა 12 გუნდი. ასპარეზობა 2 ქვეჯგუფად ჩატარდა წრიული სისტემით.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ კონტუათისა და ხონის რაიონის ვეტერანი ფეხბურთელები. წარმატება 1-0 წილად ხვდათ კონტუათელებს.

ხონის სპორტისა და ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარემ ომარ წივწივაძემ გამარჯვებული გუნდის კაპიტანს გადასცა გარდამავალი თასი, გუნდის მოთამაშეებმა მიიღეს პირველი ხარისხის დიპლომები.

ასპარეზობამ გამოავლინა პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებსაც მომავალში ალბათ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებშიც იხილავენ გულშემატკივრები.

დემურ ტორაძე, „ლელოს“ საკ. კორ.

დიდი ლიახვის ხეობაში სპორტისთვისაც მოიცალეს!

4-5 წელია ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა ცხინვალის რეგიონში, დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში სპორტისთვისაც მოიცალეს ენთუზიასტებმა. 1997 წლის 20 აგვისტოს შეიქმნა სოფ. თამარაშენის ბავშვთა საფეხბურთო გუნდი „ლიახვი“, რომლის მწვრთნელია ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი ვახტანგ ყაზახაშვილი. იგი თავგამოდებით ცდილობს ჩაუნერგოს ფეხბურთის სიყვარული მოზარდებს, თანატოლებში გამოირჩევიან მისი აღსაზრდელები მერაბ ოტიაშვილი, ვანო რაზმაძე და მინდია მინდიაშვილი.

გუნდმა ჩაატარა რამდენიმე ამხანაგური მატჩი ნიქოზელ, გორელ, ცხინვალელ მოზარდებთან.

სოფ. ქურთაში მუშაობს კარატეს სექცია. სოფ. აჩაბეთში აპირებენ ძველი სკოლის შენობაში ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობის სექციების ჩამოყალიბებას, მაგრამ არაა საჭიდაო ლეიბები, მაინც იმედი აქვთ, რომ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი დაეხმარებათ.

იოსებ გაგნიძე,
„ლელოს“ საკ. კორ. ცხინვალის რეგიონში

დიდი ლიახვის ხეობის მოზარდ ფეხბურთელთა გუნდი „ლიახვი“ და მათი ახალგაზრდა მწვრთნელი ვახტანგ ყაზახაშვილი (მარჯვენიდან პირველი)
იოსებ გაგნიძის ფოტო

გურამ ფანჯიკიძეს თაობები მიაგებენ პატივს



იმ ადამიანთა შორის, ვინც თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ფეხბურთში, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია მწერალ გურამ ფანჯიკიძეს. იგი აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ფეხბურთის ცხოვრებაში, იყო მისი გულმხურვალე ქომაგი და ჭირისუფალი, განადიდებდა ქართველ ფეხბურთელთა ოსტატობას, ესწრებოდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატებს, შთაბეჭდილებებს კი მაღალმხატვრულ, მშვენიერ წიგნებად აწვდიდა მკითხველს, ფეხბურთის გულშემატკივრებს.

გურამ ფანჯიკიძის ღვაწლის დაფასებად აღიქმება საფეხბურთო ტურნირი, რომელიც ამ დღეებში დაიწყო თბილისში სპორტკლუბ „ფეიქრის“ სტადიონზე და მწერლის ხსოვნას ეძღვნება.

ტურნირის ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანა ფეხბურთის ვეტერანმა ენთუზიასტმა ქანი ლექავამ, რომელსაც მხარში დაუდგნენ სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და სფფ-ს პრესცენტრის ხელმძღვანელი მამუკა კვარაცხელია.

ფარიკაობა საქართველოს პირველობა ● ჭაბუკები

მხოლოდ ტექნიკური შედეგები. მონაწილეობდნენ 1979 წელს დაბადებულნი და უმცროსები.

გოგონები. რაპირა: 1. ხ. ორმოცაძე (ქუთაისი), 2. ე. სოფრომაძე, 3. ბ. ბალაძე (ორივე – ბათუმი) და ნ. კობიაშვილი (თბილისი); ***დაშნა:*** 1. ნ. ჩუბინიძე, 2. ბ. მამარდაშვილი, 3. ნ. კისკეიძე (სამივე – ქუთაისი) და ე. მახვილაძე (თბილისი).

ბიჭები: რაპირა: 1. რ. დუბოვოი (ბათუმი), 2. თ. ბედოევი (თბილისი), 3. ი. დუბოვოი (ბათუმი) და თ. გორდაძე (თბილისი); ***ხმალი:*** 1. ი. გათენაძე, 2. გ. გოგუაძე (ორივე – ბათუმი), 3. ი. ზამბახიძე და ზ. ბექაური (ორივე – თბილისი); ***დაშნა:*** 1. ს. ხატიაშვილი (თბილისი), 2. ზ. ხაჯიბეგოვი (ბათუმი), 3. ლ. სოფრომაძე და ი. კოკალეიშვილი (ორივე – თბილისი).

საააგენტო „გუმათი“

«ლელოს» ფოტომატიანე


1955 წელი. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტი. ვახტანგ ქარსელაძე აღსაზრდელებთან.

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი XV ტური

ლოკომოტივი (თბილისი) – თსუ 3-1

თბილისი, 26 მაისის სახელობის სტადიონი

ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ხორგუაშვილი (კ. მელქაძე, 46), ბარნოვი, ბაქრაძე, კოტორაშვილი (გილაური, 77), კაციაშვილი, ნ. მინდიაშვილი, კ. გოგოლაძე, დ. გოდერძიშვილი, . გ. ღუდუშაური (ქვარცხავა, 72).

თსუ: გაბელია, სვანიძე, ზამთარაძე, კობიაშვილი, დეკანოსიძე, ცომაია (სულაძე, 46), ჭაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი (ინწკირველი, 84), ნინუა, როსტიაშვილი.

გოლები: 0-1 წიტაიშვილი (29), 1-1 კოტორაშვილი (40), 2-1 კ. გოგოლაძე (65), 3-1 დ. გოდერძიშვილი (78).

მსაჯი: თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

ტორპედო (ქუთაისი) – სიონი (ბოლნისი) 4-0.

ქუთაისი. გ. კილაძის სახელობის სტადიონი.

ტორპედო: გრ. ჰანტურია (მამარდაშვილი, 73), ჩხაიძე, ჩხაბერიძე, იონანიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, თურმანიძე, დ. ჯანაშია (მეგრელაძე, 75), ჩხეტიანი, ქებაძე (იმედაძე, 50).

სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ყიფშიძე, ე. ჯაფარიძე, თ. სამხარაძე, დ. ჯაფარიძე, ჩალაძე, მ. გოგოლაძე, მაზანაშვილი, გაგუა. (ჯაგიდისი, 46), მოსეშვილი (დალაქიშვილი, 76).

გოლები: კვეტენაძე (28), იონანიძე (51, პენ., 73), იმედაძე (70).

გააფრთხილეს: იმედაძე.

გააძევეს: ვოლკოვი (73).

მსაჯი: ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

დინამო (ბათუმი) – არსენალი (თბილისი) 1-1.

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი.

დინამო: მალაყმაძე, პაპიძე, აფხაზავა, სიჰინავა, კანტიძე, ვერემჩუკი, მ. მახარაძე, გადელია, მაჭუტაძე, მაქაცარია, რუსია.

არსენალი: ჩლაიძე, ფირცხალავა (მ. მაისურაძე, 54), ი. კაპანაძე, გველესიანი, ყოლბაია, გემეზაშვილი, ზირაქიშვილი (ყუფარაძე, 81), ლაცაბიძე, კორღალიძე (ქიქავა, 73), ხოსროშვილი, ტარიელაშვილი.

გოლები: 0-1 ზირაქიშვილი (44, პენ.), 1-1 მაქაცარია (54). გააფრთხილეს: კორღალიძე.

მსაჯი: თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი).

სამგურალი (წყალტუბო) – დინამო (თბილისი) 0-3.

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი.

სამგურალი: ხაჩირაშვილი, ჭელიძე (ჯავახაძე, 77), ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, მახვილაძე, ძაგნიძე, ი. ხაჭაპურიძე (ღონღაძე, 56), ფაიქიძე (ქუთათელაძე, 60), კ. ჯანაშია.

დინამო: სოლოლაშვილი, ზ. არჩვაძე, ჯელაძე, დიდავა, დ. მუჯირი (საჯაია, 83), ა. სახვაძე, ლ. მიქაძე, ალექსიძე (გ. შენგელია, 83), აშვეთია, . ცქიტიშვილი, გ. კვარაცხელია.

გოლები: აშვეთია (3, 10), დ. მუჯირი (78).

გააფრთხილეს: ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე.

მსაჯი: სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

გურია (ლანჩხუთი) – გორდა (რუსთავი) 3-4.

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონი

გურია: გოგუა, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი, კუკულაძე, განევი, ლორია, თიბილაშვილი, დ. მახარაძე, ბულუხია.

გორდა: მ. ქორიძე, კედელაშვილი, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, სილაგაძე, ტარტარაშვილი (მჭედლიძე, 46), ზირაქაძე, გაბელაია, ლ. ალადაშვილი, კ. ალადაშვილი.

გოლები: 0-1 ლ. ალადაშვილი (12), 0-2 მ. სახვაძე (56), 1-2 დ. მახარაძე (63), 1-3 კ. ალადაშვილი (66), 2-3 დ. მახარაძე (70), 2-4 სილაგაძე (80), 3-4 დ. მახარაძე (88).

მსაჯი: პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი).

დილა (გორი) – მერანი-91 (თბილისი)3-3.

გორი. ცენტრალური სტადიონი.

დილა: მდივანი, ფეზუაშვილი, გაგნიძე, სამხარაძე, გოჩაშვილი, მაისურაძე (ბ. ჩიტაია, 46), მარეხაშვილი, თაყაძე, კაიდარაშვილი, რ. ახალკაცი (ციცქიშვილი, 46), შატაკიშვილი.

მერანი-91: ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გეწაძე (ბაჯელიძე, 64), . ქორიძე, ჯიშკარიანი (მესხი, 79), დავითაშვილი, ხუციშვილი, კვეტენაძე (დევიძე, 87).

გოლები: 0-1 ქორიძე (18), 1-1 კაიდარაშვილი (50, პენ.), 2-1 გოჩაშვილი (75), 3-1 ციცქიშვილი (81), . 3-2 დევიძე (90), 3-3 დავითაშვილი (90, პენ.).

გააფრთხილეს: კვეტენაძე, ფეზუაშვილი.

გააძევეს: თაყაძე (51), ქორიძე (52)

მსაჯი: მერაბ მალაღურაძე (თბილისი).

იბერია (სამტრედია) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 2-2.

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი.

იბერია: გ. დოლიძე (ჩაჩუა, 89), ნიკოლეიშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, სადილიანი (გიორგობიანი, 55), მუმლაძე (ივეჩიანი, 81), ბრეგვაძე, ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე, ვარდიაშვილი.

კოლხეთი-1913: ქვაჩახია, ქუთიძე (გოროზია, 82), ტორჩინავა, ახვლედიანი, შალამბერიძე, ღლონტი, გვასალია (სუხიაშვილდი, 81), წივწივაძე, მ. ქობულაძე, კალანდაძე, გაბისონია.

გოლები: 1-0, ვ. გიგიაძე (12), 2-2 ვარდიაშვილი (34), 2-1, 2-2 გვასალია (76, 80).

მსაჯი: ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი).

საჯაროობა კარგია, მაგრამ შემზადება უნდა

(პირველი გვერდიდან)

რთლე, მხოლოდ სიმართლე გადაგვარჩენს“! — ასეთი იყო სფფ-ს ახალი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას გამოსვლის ლაიტმოტივი. არჩევიდან ერთი თვის თავზე იგი ერთგვარი ანგარიშით წარსდგა საზოგადოებრიობის წინაშე. მოსალოდნელიც იყო, რომ მემკვიდრეობა არასახარბიელო შეხვდებოდა და ასეც მოხდა — დღეისათვის 600 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება აქვს ფედერაციას: სახელმწიფოსი, უეფასი, „ეარ-ჯორჯიასი“, „შერატონ — მეტეხი — პალასის“. „ტელესპორტთან“ 2005 წლამდე გაფორმებული კაბალური კონტრაქტი არცთუ ისე ადვილი დასარღვევია — ამ ფირმას ძლიერი იურიდიული სამსახური ჰყავს, მაგრამ საქმეს ალბათ მოევლება, თქვა ჟორდანიამ.

პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მმართველობითი აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურების საკითხებს — მათ მაქსიმალურად დიდი ხელფასები უნდა დავუნიშნოთ, რათა კორუფციის შესაძლებლობა გამოვრიცხოთ. სფფ-ს თანამშრომლებმა მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იფიქრონ და იღვაწონ და არა იმაზე, როგორ ირჩინონ თავიო. გასაკეთებელი კი მართლაც ბევრია: ბავშვთა ფეხბურთი, საქართველოს პირველობა. ძალიან ცუდი რეზონანსი აქვს, როცა მსაჯებს და მატჩის კომისრებს უშუალოდ ადგილზე, გუნდები უხდიან გასამრჯელოს. მეორე წრიდან ასე არ იქნება — ფულს ფედერაცია გაიღებს.

ჟორდანიას თქმით, მართალია, ბევრი დრო არ გასულა მისი არჩევიდან, გარკვეული სამუშაო ჩატარებულია: დამყარდა ურთიერთობები ესპანურ და შვედურ ფირმებთან, რომლებიც გუნდებისთვის სავარჯიშო ფორმას, თასებს, სხვადასხვა სავარჯიშო წვრილმანს ამზადებენ, მიმდინარეობს მუშაობა ნაკრები გუნდებისთვის სპარინგ-პარტნიორების მოსაძებნად. მეორე წრისათვის, გუნდების მომზადების მიზნით, ფედერაციის ხარჯებით მოეწყობა დიდი ტურნირი მინი-ფეხბურთში. ითქვა, რომ სპორტის დეპარტამენტის მეცადინეობით ფეხბურთი ამიერიდან ბიუჯეტიდანაც დაფინანსდება. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სფფ ამით დამოუკიდებლობას დაკარგავს. თურმე, ახლახან ჟორდანიას წაუკითხავს, რომ საფრანგეთში რამდენიმე გუნდს სწორედ სახელმწიფო ინახავს, ფორუმის მონაწილეებმა ერთი სასიამოვნო ამბავიც გაიგეს: ფოთსა და ხობში სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლები გაიხსნება. მალე ბავშვთა ლიგაც ჩამოყალიბდება და, საერთოდ, ბავშვთა ფეხბურთს დიდი ყურადღება მიექცევა.

ცხადია, ჟორდანია გვერდს ვერ აუვლიდა მისივე გამოცემულ ბრძანებას, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის ახალი სტრუქტურის დამუშავებას ეხება. მან იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს პერიოდში გათამაშების ახალი ვარიანტი მზად იქნება.

პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ საფიქრალი იყო, რომ საფეხბურთო სპეციალისტები მაქსიმალურად გამოიყენებდნენ შესაძლებლობას და საქმიანი წინადადებებით გამოვიდოდნენ (ამდაგვარი ფორუმი, სადაც შესაძლებელია, თავისუფლად გამოხატო შენი მოსაზრებები, ხომ პირველად ტარდებოდა). სამწუხაროდ, სულ რამდენიმე მომხსენებელმა თუ გამოთქვა საყურადღებო რამ. ასე, პარლამენტარმა ნუგზარ ნავაძემ დამსწრეთ მოუწოდა ძალიან ფრთხილად მოეკიდონ პირველ ჯგუფში გუნდების შემცირების იდეას: „მეშინია, საქართველოს ჩემპიონატის ნაცვლად დედაქალაქის პირველობა არ შეგვრჩეს ხელთ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა რაიონის გუნდებს დავეხმაროთ. გუნდების რაოდენობის შეკვეცა სხვა რამითაც მაშინებს — ადვილი შესაძლებელია, რომ თამაშებმა დაუნდობელი ხასიათი მიიღოს. გარდა ამისა, ნავაძის აზრით, აუცილებელია „გამომზეურდეს და საჯაროზე გამოვიდეს ძველი ფედერაციის ფინანსური საქმიანობა“. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოდ გაისმა სფფ-ს აღმასკომის წევრის დათო ტურაშვილის განცხადება: „იმათ ნამოქმედარს რომ გავეცანი, ღამე ვერ დავიძინე, ისე განვიცადე“. და მაინც, მიუხედავად ამისა, ფორუმის წამყვანებმა ოსტატურად აუარეს გვერდი ფაქტობრივი მასალის გამომზეურებას, ხოლო „ლელოს“ დაჟინებული თხოვნის შემდეგ, სფფ-ს პრეზიდენტმა ამ საკითხზე საუბარი მისი შვეიცარიიდან ჩამოსვლის შემდეგ გადადო.

საქმიანი გამოდგა ცნობილი მწვრთნელების ჯონი ჯანელიძისა და მურთაზ ხურცილავას გამოსვლები: კლუბის პრეზიდენტთა საბჭოს აღდგენაზე, საკონტაქტო სისტემის სრულყოფაზე, ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებზე და ა.შ. საყურადღებო იყო სპორტის აკადემიის სპორტული თამაშების კათედრის უფროსი მასწავლებლის თამაზ ჯაშის წინადადებებიც: დასავლეთის, აღმოსავლეთის, მეორე ჯგუფის და ახალგაზრდული ნაკრებების შექმნაზე, მათი მონაწილეობით ტურნირის გამართვაზე, მეორე ნაკრების ოფიციალურად ჩამოყალიბებაზე, სპორტის აკადემიის საფეხბურთო გუნდის აღდგენაზე და ა.შ.

და მაინც, ჩამოთვლილი გამოსვლების მიუხედავად, ფორუმმა აშკარად დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დატოვა. თვალშისაცემი იყო უშუალოდ საფეხბურთო სპეციალისტების ინერტულობა — თავყრილობაზე უფრო გულშემატკივრები აქტიურობდნენ. დიდ პატივს ვცემთ რა ამ უკანასკნელთა აზრს, სხვადასხვა საკითხზე, საქმისათვის, ცხადია, უფრო სარგებლიანი სპეციალისტების წინადადებების მოსმენა, მაგრამ, ეტყობა, ასე უცბად ნაბოძები საჯაროობისათვის ისინი მზად არ აღმოჩნდნენ.

ჯემალ ჭიპაშვილი

დისკუსია

მოსაზრებები ეროვნულ ჩემპიონატზე ფეხბურთში

– „ვინც ადგილზე დგას – უკან მიდისო“ – უთქვამს ბრძენს და ჩვენშიც, აგერ 10 წელიწადია ერთ ადგილს ტკეპნის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი. ერთ სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენდა თბილისის „დინამო“, რომელიც დღემდე რჩებოდა უცვლელ ჩემპიონად და ლიდერად – დღეს კი მანაც დათმო ქართული ფეხბურთის ფლაგმანის ჰეგემონია და ზოგჯერ აუტსაიდერთა დამარცხებაც კი უჭირს. საქმე რომ კატასტროფის პირასაა, ცხადია, დღესდღეობით ჩვენი საფეხბურთო მეურნეობის რაიმე წინსვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, თუ რადიკალური ზომები არ გატარდა. სფფ-ს ახალი შემადგენლობა, ერთი შეხედვით, თითქოს შეუდგა „მიმდინარე რემონტს“, მაგრამ ეს ღონისძიებანი მხოლოდ კოსმეტიკური შეფერილობისაა და, ვფიქრობ გარკვეული შედეგის მოტანა მას არ ძალუძს.

დადგა დრო ქართულ ფეხბურთს ე.წ. „შოკური თერაპიის“ მეთოდებით მკურნალობა ჩაუტარდეს, რაც მის ძირფესვიან რეორგანიზაციაში უნდა ვეძიოთ.

კერძოდ:

1). როგორმე ბოლომდე მივიყვანოთ უსახური და უშინაარსო, არაფრისმთქმელი და მომტანი X ეროვნული ჩემპიონატი,.

2). შეიქმნას 3 ლიგა, ა) სუპერ-ლიგა (მონაწილეთა რაოდენობა 10 გუნდს არ უნდა აღემატებოდეს), ბ) სამოყვარულო ლიგა – დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში ასევე 10-10 გუნდის რაოდენობით, გ) ზონალური ლიგა – 4 დასავლეთ და 4 აღმოსავლეთ ზონაში. ***დასავლეთ ზონაში:*** აჭარა-გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, იმერეთის რეგიონები. ***აღმოსავლეთ ზონაში:*** ქართლის, სამხრეთ საქართველოს (რუსთავის ჩათვლით), თბილისის და კახეთის რეგიონები;

3). ასპარეზობა გაიმართოს შემოდგომა-გაზაფხულის პრინციპით – 4 წრედ სუპერ ლიგაში, დანარჩენ ორ ლიგაში შენარჩუნდება ასპარეზობა 2 წრედ;

4). ფეხბურთის სეზონი გაიხსნას 1 სექტემბერს და გაგრძელდეს საშობაო არდადეგებამდე ე.ი. 25 დეკემბრამდე, ისე, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია;

5). მატჩები გაიმართოს შაბათ-კვირას, ასევე თვის განმავლობაში 2 კალენდარული მატჩი – ოთხშაბათობით. დანარჩენი 2 ოთხშაბათი თვის განმავლობაში დაეთმობა სათასო და სხვა მატჩებს.

6). საგაზაფხულო ჩემპიონატი გაიხსნას 1 მარტს, ისე, როგორც ტრადიციულად იხსნებოდა თბილისში ფეხბურთის სეზონი. იგი გაგრძელდეს ზუსტად 4 თვე, 1 ივლისამდე. ივლის-აგვისტოში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გაუსაძლისად ცხელა – ასპარეზობის გამართვას, ვფიქრობ, ზიანის მოტანის მეტი არაფერი შეუძლია;

7). სუპერ-ლიგის თითოეულმა გუნდმა შეფობა იკისროს სამოყვარულო ლიგის 2 გუნდზე – როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ ზონიდან და ფაქტიურად აქციოს იგი თავის დუბლშემადგენლობად. ურომლისოდაც რაიმე რეზერვის შექმნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია;

8). სეზონის შედეგებით – სუპერ-ლიგა დატოვოს 2 გუნდმა. მათ მაგიერ იასპარეზოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში სამოყვარულო ლიგაში გამარჯვებულებმა, ყოველგვარი გადასასვლელი თამაშების გარეშე, რაც ზედმეტ ნერვიულ დაძაბულობას და ფუჭ აჟიოტაჟს ქმნის;

9). საშუალედო ლიგა დატოვოს 4-4 გუნდმა, მათ ადგილზე იასპარეზონ ზონებში გამარჯვებულებმა, ასევე ყოველგვარი გადასასვლელი თამაშების გარეშე;

10). გაუქმდეს ქულათა დაკლების – 3-ქულიანი სისტემა, რითაც ირღვევა სპორტული პრინციპი – ასპარეზობის მთავარი მიზანი. დისციპლინის დამრღვევნი დაისაჯონ ფულადი ჯარიმით, ფეხბურთელთა დისკვალიფიკაციით, სტადიონის დისკვალიფიკაციით. ამასთან, თუ დარღვევა მოხდება დასავლეთ საქართველოში-გუნდმა ითამაშოს აღმოსავლეთ საქართველოს სტადიონზე და პირიქით;

11). საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობა მიიღოს ასპარეზობის სამივე ლიგის ყველა კოლექტივმა – მატჩები გაიმართოს 2 წრედ;

12). მცირე გამონაკლისის გარდა დროა უარი ვთქვათ გუნდების სახელწოდებათა ისეთ სტერეოტიპებზე როგორიცაა – „მეშახტე“ „მაღაროელი“, ვიტ-ჯორჯია და სხვა. განა ჭიათურის „მაღაროელზე“ უკეთესად არ ჟღერს ამ რეგიონის ისტორიული სახელწოდება „არგვეთი“ ან ტყიბულის „მეშახტის“ ნაცვლად ტყიბულის „ოკრიბა“? გაურკვეველია ბათუმის „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ სახელწოდებებიც, რადგანაც სპორტული პრესა მათ, ხან „გორდად“ ნათლავს, ხან კი „ბათუმად“, მაშინ, როდესაც ბათუმის „დინამოს“ შეიძლება ეწოდოს ბრწყინვალე სახელი – „ოშკი“ – რაც თურმე ყველაზე მაღალს ნიშნავს, მერე რა რომ იგი თურქეთის ტერიტორიაზეა, ამავე ტერიტორიაზეა „არარატის“ მწვერვალიც, მაგრამ სომეხ ფეხბურთელთა სახელი სწორედ „არარატის“ მეშვეობით გაიცნო საფეხბურთო სამყარომ.

დემურ ტორაძე,
ხონი

P.S. **საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების ზემოაღნიშნულ სტრუქტურას, რა თქმა უნდა, ალტერნატივა გააჩნია. კერძოდ: საშემოდგომო პირველობა გაიმართოს ქვეყნის 8 საფეხბურთო რეგიონში. სადაც გამარჯვებულები ჩემპიონის ტიტულს შეეცილებიან საგაზაფხულო პირველობაზე. დანარჩენი გუნდები ასპარეზობასგააგრძელებენ ჩვეულებისამებრ.**

რედაქციისაგან: დემურ ტორაძის მოსაზრებებში მოსაწონთან ერთად ბევრი რამ მოგვეჩვენა სადავო, იმედია, ავტორს სპეციალისტები გამოეხმაურებიან: ვიდავოთ, ვიკამათოთ, ერთმანეთს გავუზიაროთ წინადადებები – ქართული ფეხბურთი რომ ყველას საზრუნავია.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ბონჰოფი უშველის?

გერმანიის 1997-98 წლების ჩემპიონატში მენხენგლადბახის „ბორუსია“ ძლივს გადაურჩა მეორე ბუნდესლიგაში გადასვლას, ახლა კი კვლავ ბოლო ადგილზეა.

გუნდის მეპატრონეების მოთმინების ფიალა აივსო. 58 წლის მწვრთნელი, ფრიდელ რაუში თანამდებობიდან დაითხოვეს. იგი შეცვალა წარსულში განთქმულმა ოსტატმა რაინერ ბონჰოფმა, რომელიც ბოლო ხანს ბერტი ფოგტსის თანაშემწედ მუშაობდა.

ქორწილს 30 ათასი კაცი დაესწრო

ნიგერიის ნაკრებისა და სტამბოლის „ფენერბახჩეს“ ნახევარმცველ ავგუსტინ, „ჯეი-ჯეი“ ოკოჩას დაქორწინება ნკეჩი ეგბუტაზე ლაგოსში რაღაც გრანდიოზულ დღესასწაულად გადაიქცა. ეკლესიის წინ, სადაც ახალგაზრდებმა ჯვარი დაიწერეს, დაახლოებით 30 ათასი კაცი შეიკრიბა. მათ შორის ქვეყნის სპორტის მინისტრი გენერალი ემეკა ომერუა და თურქეთის ელჩი ნიგერიაში ნუმან ნაზარიც იყვნენ.

„სამ საათს მუშაობენ“ და მილიონებს იღებენ

როგორც ბრემენის „ვერდერის“ ახალმა მწვრთნელმა, წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ფელიქს მაგათმა განაცხადა, მას სრულიადაც არ აკმაყოფილებს ამ კლუბში გამეფებული წესები. „პირადად არც მინახავს და არც გამიგონია, რომ ფეხბურთელები, რომლებიც მილიონებს იღებენ, დღეში სულ სამ საათს მუშაობენ. საჭირო გახდება კვირაში 40-საათიანი სამუშაო გრაფიკის შემოღება, თუ არა და...“ ერთი სიტყვით, „ვერდერის“ განებივრებულ ფეხბურთელებს, რომლებიც გერმანიის პირველობაზე მატჩს მატჩზე აგებენ, კარგი დღე არ ელით. მაგათი ყოველთვის იყო „ჯოხის დისციპლინის“ მომხრე, ამასთან, კლუბის დირექტორატიც დიდ მოთხოვნებს უყენებს.

„ო-სე, ო-სე, ბაბა!“

როცა ნიგერიის ნაკრები სტუმრად თამაშობს, ნიგერიის ქალაქებში – კაფეებში ანდა, სულაც ქუჩებში ტელევიზორებს დგამენ, რათა გულშემატკივრებმა ფეხბურთს ერთად უყურონ. როცა შინ თამაშობს, მაშინ ლაგოსის 80-ათასიანი სტადიონი გულშემატკივრებით დილიდანვე ივსება, თუნდაც თამაში გვიან ღამით იწყებოდეს. ფეხბურთის გულშემატკივრები თანახმანი არიან იქ საღამომდე, მცხუნვარე მზეში იჯდნენ, ეშინიათ, რომ სხვანაირად ტრიბუნებზე ადგილს ვერ დაიკავებენ. თამაშის დროს განუწყვეტლივ უკრავენ დოლზე და მღერიან. თუ მოიგეს, იწყება შეძახილები: „ო-სე, ო-სე, ბაბა!“ – „მადლობა შენდა, ღმერთო!“ როჯა სუპერარწივებს ბურთი ვერ გააქვთ, სტადიონზე გაისმის ჯონ ლენონის ცნობილი მელოდია „მიეცით მსოფლიოს შანსი“, ჩართული შემდეგი სიტყვებით: „ეს ყველაფერია, რასაც ჩვენ გთხოვთ, ერთი გოლი მაინც გაიტანეთ!“

შედეგს შევიტყობთ 22 დეკემბერს

პოპულარულმა ფრანგულმა ყოველკვირეულმა „ფრანს ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა იმ 50 ფეხბურთელის სია, რომლებიც „ოქროს ბურთის“ მიღების ყველაზე უფრო ღირსეული კანდიდატები არიან. ამჟამად მოქმედი წესების თანახმად, ამ პრიზის მიღება ევროპის კლუბებში მოქმედ ლეგიონერებსაც შეუძლიათ.

აი ეს სია:

ტონი ადამსი (ინგლისი, ლონდონის „არსენალი“), რობერტო ბაჯო (იტალია, მილანის „ინტერი“), ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი, „მონაკო“), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა, „ფიორენტინა“), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია, ლონდონის „არსენალი“), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია, „მილანი“), ლორან ბლანი (საფრანგეთი, მარსელის „ოლიმპიკი“), ზვონიმირ ბობანი (ხორვატია, „მილანი“), დევიდ ბეკჰემი (ინგლისი, „მანჩესტერ იუნაიტედი“), ხუან სებასტიან ვერონი (არგენტინა, „პარმა“), კრისტიან ვიერი (იტალია, რომის „ლაციო“), ედგარ დევიდსი (ჰოლანდია, ტურინის „იუვენტუსი“), რონალდ დე ბური (ჰოლანდია, ამსტერდამის „აიაქსი“), ფრანკ დე ბური (ჰოლანდია, ამსტერდამის „აიაქსი“), ალესანდრო დელ პიერო (იტალია, ტურინის „იუვენტუსი“), დენილსონი (ბრაზილია, სევილიის „ბეტისი“), მარსელ დესაიი (საფრანგეთი, ლონდონის „ჩელსი“), დიდიე დეშამი (საფრანგეთი, ტურინის „იუვენტუსი“), კლარენს ზეედორფი (ჰოლანდია, მადრიდის „რეალი“), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი, ტურინის „იუვენტუსი“), ადრეან ილიე (რუმინეთი, „ვალენსია“), ფილიპო ინძაგი (იტალია, ტურინის „იუვენტუსი“), ფერნანდო იერო (ესპანეთი, მადრიდის „რეალი“), ფაბიო კანავარო (იტალია, „პარმა“), ბრაიან ლაუდრუპი (დანია, „კოპენჰაგენი“), მიქაელ ლაუდრუპი (დანია, ამსტერდამის „აიაქსი“), ბიქსენტ ლიზარაზიუ (საფრანგეთი, მიუნხენის „ბაიერნი“), ლუის ენრიკე (ესპანეთი, ბარსელონა), ნიკოს მახლასი (საბერძნეთი, ვიტესი), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია, მადრიდის „რეალი“), ხიდეტოსი ნაკატა (იაპონია, „პერუჯა“), პაველ ნედვედი (ჩეხეთი, რომის „ლაციო“), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია, ამსტერდამის „აიაქსი“), სანდეი ოლისე (ნიგერია, ამსტერდამის „აიაქსი“), არიელ ორტეგა (არგენტინა, გენუის „სამპდორია“, მაიკლ ოუენი (ინგლისი, „ლივერპული“), ჯანლუკა პალიუკა (იტალია, მილანის „ინტერი“), ემანუელ პეტი (საფრანგეთი, ლონდონის „არსენალი“), რაული (ესპანეთი, მადრიდის „რეალი“), რივალდო (ბრაზილია, „ბარსელონა“), რობერტო კარლოსი (ბრაზილია, მადრიდის „რეალი“), რონალდო (ბრაზილია, მილანის „ინტერი“), მარსელო სალასი (ჩილე, რომის „ლაციო“), ივან სამორანო (ჩილე, მილანის „ინტერი“), დევიდ სიმენი (ინგლისი, ლონდონის „არსენალი“), ლილიან ტიურამი (საფრანგეთი, „პარმა“), ტურე-ანდრე ფლო (ნორვეგია, ლონდონის „ჩელსი“), ანდრეი შევჩენკო (უკრაინა, კიევის „დინამო“), დავორ შუკერი (ხორვატია, მადრიდის „რეალი“), რობერტ იარნი (ხორვატია, მადრიდის „რეალი“),

რეფერენდუმის შედეგები „ფრანს ფუტბოლის“ 22 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდება.

„ევროპაში მზე არა გვყოფნის“

როგორ მოხდა რომ ნიგერიის ნაკრები არა მარტო აფრიკის, არამედ, საერთოდ, თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი გახდა? – ასეთი კითხვით მიმართა კორესპონდენტმა ამსტერდამის „აიაქსის“ ცნობილ თავდამსხმელს, 24 წლის ტიჯანი ბაბანგიდას. – ძალიან ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გვყავს. ერთად რომ ვიყრით თავს, ძალზე კარგი ნაკრები იქმნება, – განაცხადა მან.

● *საქმე მხოლოდ ნიჭიერ თამაშშია?*

– არა, წინამორბედებიც ნიჭიერები იყვნენ, მაგრამ ჩვენ მეტი გამოცდილება და სათამაშო ორგანიზაცია გვაქვს. ეს აფრიკის ქვეყნების სხვა ნაკრებსაც ეხება. ბოლო ათწლეულში აფრიკამ უდიდეს პროგრესს მიაღწია და მომდევნო 4 წელიწადში კიდევ უფრო გააუმჯობესებს თამაშს.

● *ევროპაში აფრიკა გენატრებათ?*

– მზე არა გვყოფნის, არც ეროვნული სამზარეულოს კერძები გვაქვს, რაც შეეხება ჩვენს თანამემამულეებს, ისინი ამსტერდამში საკმაოდ არიან. აი, ამ სეზონიდან სანდი ონისეც ჩვენს გუნდში ჩაირიცხა. ამასთან, ჩემთან ჩემი ძმაც ცხოვრობს (ბაბანგიდას ორი ძმა და შვიდი და ჰყავს).

● *ჰოლანდიის მოქალაქეს მოიყვანთ ცოლად, ევროპაში დარჩენას აპირებთ?*

– ამაზე არ მიფიქრია. ჯერჯერობით აქ მხოლოდ ვმუშაობ.

სანდი ოლისე, კულინარია და ბილიარდი...

ახლა, როდესაც „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციული, ფრიად პრესტიჟული ჯილდო „ოქროს ბურთი“ შეიძლება ევროპაში მოთამაშე ლეგიონერებმაც მიიღონ, ერთ-ერთ ასეთ პრეტენდენტად ჟურნალმა ამსტერდამის „აიაქსის“ წევრი, ნიგერიელი სანდი ოლისეც დაასახელა.

ისევე, როგორც ბევრმა „სუპერარწივმა“, სანდი ელისემაც ძალზე ახალგაზრდამ, 16 წლისამ მიიპყრო ყურადღება. იგი უკვე ნიგერიის პირველი დივიზიონის კლუბ „ჯულიუს ბერგერში“ (ქ. ლაგოსი) თამაშობდა. იქ დიდი ხნით არ გაჩერებულა, ქვეყნის მხოლოდ ერთ ჩემპიონატში ითამაშა. 1990 წლიდან ბელგიის „ლიეჟში“ ჩაირიცხა, სადაც ოთხი სეზონი გაატარა. ამ დროიდან მოყოლებული იგი ნიგერიის ნაკრებშიც გამოდიოდა. 1994 წელს 19 წლის ოლისე ტუნისში მონაწილეობდა აფრიკის თასის გათამაშებაში, სადაც 4 მატჩი ითამაშა, მათ შორის ფინალურიც, რის შემდეგ აფრიკული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად სცნეს. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ოლისე პირველი აფრიკელი ფეხბურთელი გახდა, რომელიც იტალიის ჩემპიონატის მონაწილე „რეჯანაში“ მიიწვიეს. არიგო საკიმ, რომელსაც არ უყვარს ვინმეს შექება, აღნიშნა ნიგერიელი ცენტრალური მცველის მაღალი ღირსებები. ოლისემ მაინც ვერ უშველა „რეჯანას“ – მას „სერია A“-ს დატოვება მოუხდა და სანდი ბუნდესლიგის „კიოლნში“ აღმოჩნდა, 1997 წელს კი უკვე მიიწვია ამსტერდამის „აიაქსმა“, რომლის მწვრთნელ, დანიელ მორტენ ოლსენთან ახლო ურთიერთობა დაამყარა.

● ***უკვე რამდენიმე ქვეყანაში თამაშობდით. ამდენჯერ ახალ პირობებთან შეგუება, ასე ვთქვათ, გარდაქმნა ძნელი არ იყო?***

– დასაწყისში მართლაც გამიჭირდა ევროპული ცხოვრების პირობებთან შეგუება. მას ხომ საერთოდ არ ვიცნობდი. აი, ჰოლანდიაში ცხოვრება კი, საერთოდ, არ გამჭირვებია. ეს ქვეყანა ძალიან ჰგავს ბელგიას. როგორც ერთ, ისე მეორე ქვეყანაში ყველა თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად.

● ***ენის ფლობას თქვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს?***

– დიახ, თანაც ძალიან დიდი. ადამიანი, რომელსაც არ ესმის რა ხდება მის გარშემო, თავს არასრულყოფილად და ეულად გრძნობს.

● ***საფეხბურთო თვალსაზრისით, სად გრძნობთ თავს ყველაზე უკეთესად?***

– „აიაქსში“. ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ ეს არის ჩემი ახლანდელი კლუბი. „აიაქსი“ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს, რომელიც ახლოა ჩვენებურ, აფრიკულთან. იტალიასა და გერმანიაში უფრო მიჭირდა.

● ***როგორც შემდეგ ჟურნალისტმა აღნიშნა, სანდი ოლისე სიამოვნებით გესაუბრებათ სანამ საქმე ფეხბურთს ეხება. მაგრამ არის თემები, რომელზეც მას ლაპარაკი არ უყვარს. იგი უარს ამბობს გიპასუხოთ, როცა ისეთ კითხვებს უსვამთ, რაც მის პირად ცხოვრებას ეხება. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი დაიბადა ნიგერიის სამხრეთის შტატის დელტას სოფელ აბავოში, მაგრამ გაიზარდა და თამაში დაიწყო ლაგოსში, სადაც მისი მშობლები და ორი წლის სანდი გადავიდნენ საცხოვრებლად. მას ცოლად ჰყავს მაროკოული წარმოშობის ბელგიელი, სახელად საფიდა. ლიეჟის ახლოს აქვთ სახლი. ფეხბურთის გარდა, ოლისეს ორი გატაცება აქვს – ერთი კულინარია, სიამოვნებით ამზადებს ტრადიციულ ნიგერიულ კერძებს, მეორე კი ბილიარდი გახლავთ. არც ფეხბურთის პოლიტიკასთან დაკავშირებულ თემებზე უყვარს საუბარი. კორუფცია? ორგანიზაციული ქაოსი? ეთნიკური და კლანური უთანხმოებები?***

– ყოველივე ამას ფეხბურთთან დამოკიდებულება არა აქვს. მთავარი ის არის, რომ ნიგერია ოლიმპიური ჩემპიონია. აქამდე ხომ აფრიკულ ფეხბურთს არავინ მიიჩნევდა სერიოზულ ძალად. როგორც ხედავთ, გვარიანი პრობლემების მიუხედავად, ჩვენ კარგ შედეგებს მივაღწიეთ.

● ***როგორ უყურებთ იმ ამბავს, რომ პოლიტიკოსების გამო ნიგერიამ აფრიკის თასის ორი გათამაშება გამოტოვა, მათ შორის ბოლო, ბურკინა-ფასოში?***

– ერთი მხრივ, კარგიც იყო. ეს ნიშნავდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე არ გავიხსნებოდით, ჩვენს ნამდვილ ძალაზე წარმოდგენაც არ ექნებოდათ. საინტერესოა, რომ ოლისეს მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად მიაჩნდა გერმანიის ნაკრები, რომელიც ყველა ტურნირს მაქსიმალურად მომზადებული ხვდება. რას იზამ, ნიგერიელს პროგნოზში არ გაუმართლა. ჩემპიონობის სხვა კანდიდატებად იგი იტალიელებსა და ფრანგებს თვლიდა. ერთი სიტყვით, არც ისე შორს იყო სინამდვილისაგან. აი, ბრაზილიელების წარმატებას კი არ მოელოდა, თვლიდა, რომ ბრაზილია ვერ გაიმარჯვებდა ევროპაში მოწყობილ ჩემპიონატში.

● ***თქვენ, ნიგერიელები, ვისთან თამაშობთ უკეთ – სამხრეთამერიკელებთან თუ ევროპელებთან?***

– უფრო სამხრეთამერიკელებთან, რომლებთანაც ღია ფეხბურთს ვთამაშობთ. ამავე დროს, რახან ჩვენი უმრავლესობა ევროპის კლუბებში გამოდის, ახლა მათ წინააღმდეგაც წარსულ წლებთან შედარებით უფრო იოლად ვთამაშობთ.

სასჯელის გამოტანა დაიწყო

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სამდივნომ გამოაცხადა, რომ ანაბოლიკების გამოყენების გამო „ლეჩეს“ მცველი კრისტიანო პავონე დისკვალიფიცირებულია სამი თვით. უკვე დაიწყო იმ ფეხბურთელების დასჯის „სერია“, რომლებიც სადოპინგო სკანდალში არიან გახვეული.

პავონე პირველია, რომელიც დაისაჯა 1991 წლის სადოპინგო სკანდალის შემდეგ. როცა „რომას“ წამყვან მოთამაშეებს ანდრეა კარნევალესა და ანჯელო პერუცის 15-თვიანი სასჯელი გამოუტანეს.

ბუკმეკერები აღიარებენ „ასტონ ვილას“

ინგლისის 1998-99 წლების ჩემპიონატი რომ დაიწყო, ბუკმეკერები „ასტონ ვილას“ სათვალავში სერიოზულად არც კი აგდებდნენ. მაგრამ აი ტური ტურს მისდევს და „ასტონ ვილა“ მატჩს მატჩზე იგებს. თუ ჩემპიონატის დასაწყისში ტოტალიზატორში „ასტონ ვილას“ მოგებისათვის დადებულ 1 გირვანქა სტერლინგზე 40 გირვანქას მიიღებდი, ახლა შეფარდება ასეთია: 1-8.

მთავარ ფავორიტებად კი კვლავინდებურად ითვლებიან „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“.

იკპება – ტაქტიკაში მოვუმატეთ

ვიქტორ იკპება 1997 წელს აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. რას ფიქრობს იგი აფრიკული ფეხბურთის შესახებ?

თუ ნიგერიელებზე ვილაპარაკებთ, აქ მთავარი როლი შეასრულა იმ ყურადღებამ, რომელსაც სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელებს აქცევენ. სანამ ახალგაზრდები ეროვნულ ნაკრებში მოხვდებიან, მათ საბავშვო გუნდიდან დაწყებული, დიდი გზა უნდა გაიარონ და ერთმანეთს მშვენივრად იცნობენ. ჩვენი, ნიგერიელების უპირატესობა აფრიკის სხვა ქვეყნებთან შედარებით რაიმე განსაკუთრებულ ნიჭიერებაში კი არ არის, არამედ უმაღლეს დონეზე თამაშის მეტ გამოცდილებაში, ჩვენები ხომ ევროპის წამყვან კლუბებში გამოდიან. ისე კი, აფრიკული ნაკრებების ძალა თანაბრდება. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში ვერ მოხვდნენ ისეთი ძლიერი ნაკრებები, როგორნიც განელები და ეგვიპტელები არიან.

● *რის გამო მოხდა, რომ აფრიკული ფეხბურთი ასე გაიზარდა?*

– პირველ რიგში, იგი გაიზარდა ტაქტიკური თვალსაზრისით. ჩვენ მივხვდით, რომ საჭირო არ არის წინდაუხედავი წინ გაჭრა, ჩვენი თამაში ყველა რგოლში უფრო დაბალანსდა. ახლა კონტრშეტევისას ნაკლებ გოლს ვუშვებთ. ამავე დროს საჭიროა ჩვენი თამაშის თვითმყოფადობის შენარჩუნება, იმ კარგის გადაღებასთან ერთად, რაც ევროპულ ფეხბურთს აქვს, რომელსაც ჩვენთან უფრო აფასებენ, ვიდრე სამხრეთამერიკულს. რაც შეეხება თვით სამხრეთამერიკელებს, ისინი ჩვენ, ევროპელებისაგან განსხვავებით, სათანადო ანგარიშს არ გვიწევენ, ამიტომაც დიდად გვასიამოვნა ოლიმპიურ თამაშებზე მექსიკის, ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებები რომ დავამარცხეთ.

● *რამ მოახდინა გავლენა აფრიკულ ფეხბურთზე?*

– ეს იყო 1982 წელს მსოფლიო ჩემპიონატში კამერუნელთა დაუმარცხებელი სერია, ხოლო შემდეგ, 1990 წელს მეოთხედფინალამდე მისვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზინედინ ზიდანი: „საშინელი ქალის გამარჯვებისკენ სწრაფვა და გამძლეობა გვქონდა“

(პირველი გვერდიდან)

ენს თამაშზე და შედეგზე. იგივე მოხდა საფრანგეთის ეროვნულ გუნდში – ჩვენ ვიცოდით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ემე ჟაკე დატოვებდა გუნდს, მაგრამ ჩვენ მაინც ჩემპიონები გავხდით.

● ***ლიპის წასვლის შემდეგ რა შეიცვლება „იუვეში“?***

– ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ყველაფერი, რაც შემიძლია გითხრათ მომავალზე, ის არის, რომ მე 2002 წლამდე გავაგრძელე კონტრაქტი „იუვესთან“.

● ***ამას წინათ ძალიან ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ვითომ „იუვეს“ ფეხბურთელები უცნაურ სუბსტანციებს (დოპინგის საშუალებებს) ხმარობენ...***

– ამას ის ხალხი აკეთებს, ვინც ცდილობს ჩვენს წარმატებებს ჩრდილი მიაყენოს. ისინი შურიანები არიან.

● ***ამ სკანდალში დელ პიეროც ფიგურირებდა...***

– ალექსი საკმაოდ ძლიერია და ასეთ რაღაცეებს უძლებს. მას არ სჭირდება რაღაც მედიკამენტების მიღება, ის ამის გარეშეც გადის ფონს. ხოლო ჩვენ კი დელ პიეროს გარეშე ალბათ ვერ გავხდებოდით იტალიის ჩემპიონები.

● ***მსოფლიო ჩემპიონატზე მან დიდი ვერაფრით გამოიჩინა თავი...***

– ვფიქრობ, ის გადაღლილად გამოიყურებოდა. რასაკვირველია, მას გაცილებით კარგად შეეძლო თამაში, თუმცა ჩვენთვის, ფრანგებისთვის კი კარგია, რომ მან ეს ვერ შეძლო. მაგრამ ვთვლი, რომ იტალიელთა დანარჩენი ფეხბურთელები დელ პიეროს ისე ვერ ეხმარებოდნენ, როგორც მართებდათ. ალექსი იზოლირებულად გამოიყურებოდა. რა შეეძლო მას გაეკეთებინა? ასეთ შემთხვევაში სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ მას ბევრი გოლი გაეტანა. ის ახალგაზრდაა და საკმაოდ ბევრი დრო აქვს, რომ ის სწორად გამოიყენოს.

● ***რომელმა გუნდმა მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება საფრანგეთი-98-ზე?***

– რა თქმა უნდა, ჰოლანდიამ. ნიდერლანდებმა კარგად ორგანიზებული და სანახაობრივი თამაში გვიჩვენა. ისინი რომ ფინალში გასულიყვნენ, მაშინ ჩვენ მათთან უფრო გაგვიძნელდებოდა პაექრობა, ვიდრე ბრაზილიელებთან.

● ***რომელ ფეხბურთელებს გამოყოფდით?***

– ოუენს და გალარდოს.

● ***თქვენს ორ გოლზე რას გვეტყვით, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიტანეთ?***

– ეს მართლაც ორი ძალიან მნიშვნელოვანი გოლი იყო. მე ძალიან მესაჭიროებოდა გოლის გატანა და არა მხოლოდ გუნდისთვის, არამედ იმისთვის, რომ თანაგუნდელებისთვის ჩემი სულელური საქციელის გამო საზღაური გამეღო – საუდის არაბეთთან მატჩში ხომ მსაჯმა მინდვრიდან გამაგდო, რის გამოც ორი მომდევნო მატჩი გამოვტოვე. ამისათვის მე კი მოვუბოდიშე თანაგუნდელებს, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ მხოლოდ სიტყვები საკმარისი არ იყო. თუმცა, წითელ ბარათს მაშინ არ ვიმსახურებდი, ყვითლის ღირსი კი ვიყავი.

● ***ორივე გოლი თავურით გაიტანეთ...***

– ვიცოდი, რომ ბრაზილიელებს ამნეზია ემართებათ, როცა ბურთი ჰაერშია და ვიფიქრე – რატომ არ უნდა მეცადა გამომეყენებინა ეს? კარგი გადაწყვეტილება იყო, ასე ვფიქრობ.

● ***იტალიასთან მეოთხედფინალურ მატჩზე რას იტყოდით?***

– ჩვენ დავიმსახურეთ მოგება, რადგან მთელი 120 წუთი ვცდილობდით გოლის გატანას, იტალიელებზე კი არ შემიძლია იგივე ვთქვათ. მათ მე გამაწბილეს. ვერ გამიგია, თუ რატომ უნდოდათ იტალიელებს, რომ თამაშის დროის დიდი ნაწილი მოედნის თავიანთ ნახევარზე გაეტარებინათ, რაც ჩვენთვის ხელსაყრელი იყო.

● ***ხორვატებთან?***

– პირველად ჩემს კარიერაში ისე ვიყავი ემოციურად აღგზნებული, რომ თამაშის წინ შეუძლოდაც კი გავხდი. მაგრამ, როცა ხორვატიული ბარიერი გადავლახეთ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ვფიქრობ, ჩვენ საშინელი ძალის გამარჯვებისკენ სწრაფვა და გამძლეობა გვქონდა.

● ***მერე იყო ფინალი...***

– უნდა გითხრათ, რომ ბრაზილიისგან უფრო მეტს ველოდით, ფინალში ისინი თავიანთ დონეზე გაცილებით დაბლა დაეშვნენ. გამარჯვების შემდეგ მე ბედნიერი ვიყავი. ბედნიერი ჩემი ოჯახის გამო, ლორან ბლანის გამო, რომელსაც დისკვალიფიკაციამ ფინალის გზა გადაუღობა, ჩემი ვაჟის ლუკას გამო, რომელიც მაისის ბოლოს შემეძინა; ბედნიერი ვიყავი ლიპის და ჯამპიერო ვენტრონის გამო, რომლებიც ასე ძალიან მეხმარებოდნენ „იუვეში“, ბედნიერი ვიყავი სამშობლოს გამო.

„WORLD SOCCER“-დან თარგმნა
დათო თავართქილაძემ



თქვენთვის, ფეხბურთის გულშემატკივრებო!

ბელგიის ჩემპიონატი

I ტური

ოსტენდე – სტანდარდი 2-1
სტ. ტრუიდენი – მუსკრონი 0-2
ჰარელბეკი – კორტრიკი 1-0
ეკერენი – ვესტერლო 0-3
ლომელი – ბევერენი 2-1
ანდერლეხტი – შარლერუა 1-1
ლოკერენი – გენკი 2-0
აალსტი – ბრიუგე 0-2
ლიერსი – გენტი 1-0

II ტური

გენკი – ლიერსი 3-1
კორტრიკი – ლოკერენი 0-6
ბევერენი – ანდერლეხტი 2-1
შარლერუა – ჰარელბეკი 2-1
ბრიუგე – ეკერენი 2-1
სტანდარდი – აალსტი 3-0
გენტი – ოსტენდე 1-1
ვესტერლო – სტ. ტრუიდენი 1-4
მუსკრონი – ლომელი 2-0

III ტური

ოსტენდე – გენკი 1-1
სტანდარდი – გენტი 2-0
სტ. ტრუიდენი – ბრიუგე 1-2
ლომელი – ვესტერლო 0-1
ანდერლეხტი – მუსკრონი 1-1
ჰარელბეკი- ბევერენი 1-1
ლოკერენი – შარლერუა 3-1
ლიერსი – კორტრიკი 5-1
აალსტი – ეკერენი 5-0

IV ტური

ეკერენი – სტ. ტუიდენი 1-0
გენტი – აალსტი 2-2
ბევერენი – ლოკერენი 1-2
მუსკრონი – ჰარელბეკი 2-2
ვესტერლო – ანდერლეხტი 6-0
გენკი – სტანდარდი 2-1
შარლერუა – ლიერსი 5-0
ბრიუგე – ლომელი 0-1
კორტრიკი – ოსტენდე 2-0

V ტური

ანდერლეხტი – ბრიუგე 2-3
სტანდარდი – კორტრიკი 2-1
ოსტენდე – შარლერუა 0-0
გენტი – გენკი 0-1
ლომელი – ეკერენი 1-2
ჰარელბეკი – ვესტერლო 1-2
ლოკერენი – მუსკრონი 0-0
ლიერსი – ბევერენი 3-0
აალსტი – სტ. ტრუიდენი 1-3

VI ტური

კორტრიკი – გენტი 3-4
შარლერუა – სტანდარდი 1-0
ეკერენი – ანდერლეხტი 0-3
სტ. ტრუიდენი – ლომელი 2-1
გენკი – აალსტი 2-0
ბევერენი – ოსტენდე 5-0
ვესტერლო – ლოკერენი 4-3
მუსკრონი – ლიერსი 0-0
ბრიუგე – ჰარელბეკი 1-0

VII ტური

აალსტი – ლომელი 3-1
გენკი კორტრიკი 3-1
ოსტენდე – მუსკრონი 2-4
სტანდარდი – ბევერენი 1-2
ლიერსი – ვესტერლო 5-1
გენტი – შარლერუა 1-1
ანდერლეხტი–სტ. ტრუიდენი 1-1
ლოკერენი – ბრიუგე 2-0
ჰარელბეკი – ეკერენი 0-4

VIII ტური

კორტრიკი – აალსტი 3-4
ბრიუგე – ლიერსი 3-1
ვესტერლო – ოსტენდე 7-0
ბევერენი – გენტი 0-3
შარლერუა – გენკი 1-1
ეკერენი – ლოკერენი 1-1
ლომელი – ანდერლეხტი 2-2
მუსკრონი – სტანდარდი 1-5
სტ. ტრუდენი – ჰარელბეკი 1-0

IX ტური

გენკი – ბევერენი 1-0
აალსტი – ანდერლეხტი 0-0
ჰარელბეკი – ლომელი 1-1
კორტრიკი – შარლერუა 2-2
ლოკერენი – სტ. ტრუდენი 2-1
სტანდარდი – ვესტერლო 2-0
ლიერსი – ეკერენი 1-0
გენტი – მუსკრონი 3-0
ოსტენდე – ბრიუგე 1-4

X ტური

მუსკრონი – გენკი 3-5
ბრიუგე – სტანდარდი 1-1
ეკერენი – ოსტენდე 2-2
სტ. ტრიუდენი – ლიერსი 3-0
ლომელი – ლოკერენი 1-2
ანდერლეხტი – ჰარელბეკი 3-1
შარლერუა – აალსტი 0-1
ბევერენი – კორტრიკი 2-2
ვესტერლო – გენტი 3-3

XI ტური

ოსტენდე – სტ. ტრიუდენი 0-1
გენტი – ბრიუგე 0-4
გენკი – ვესტერლო 3-0
შარლერუა – ბევერენი 1-2
სტანდარდი – ეკერენი 1-0
ლოკერენი – ანდერლეხტი 2-3
ლიერსი – ლომელი 2-1
კორტრიკი – მუსკრონი 2-2
აალსტი – ჰარელბეკი 2-2

XII ტური

ბრიუგე – გენკი 2-0
სტ. ტრიუდენი – სტანდარდი 0-1
ვესტერლო – კორტრიკი 2-0
მუსკრონი – შარლერუა 3-2
ანდერლეხტი – ლიერსი 2-0
ჰარელბეკი – ლოკერენი 3-2
ეკერენი – გენტი 8-1
ლომელი – ოსტენდე 3-0
ბევერენი – აალსტი 0-2

XIII ტური

ოსტენდე – ანდერლეხტი 0-2
სტანდარდი – ლომელი 1-0
გენტი – სტ. ტრუიდენი 1-1
გენკი – ეკერენი 3-2
შარლერუა – ვესტერლო 1-3
ბეკერენი – მუსკრონი 1-4
ლიერსი – ჰარელბეკი 3-1
აალსტი – ლოკერენი 3-3
კორტრიკი – ბრიუგე 2-4

XIV ტური

სტ. ტრიედენი – გენკი 2-2
ლობელი – გენტი 0-1
ანდერლეხტი – სტანდარდი 0-1
ლოკერენი – ლიერსი 2-0
მუსკრონი – აალსტი 3-1
ვესტერლო – ბევერენი 0-0
ეკერენი – კორტრიკი 2-1
ბრიუგე – შარლერუა 3-2
ჰარელბეკი – ოსტენდე 2-1

XV ტური

ბევერენი – ბრიუგე 1-2
სტანდარტი – ჰარელბეკი 0-2
მუსკრონი – ვესტერლო 2-1
ოსტენდე – ლოკერენი 0-0
გენტი – ანდერლეხტი 3-2
გენკი – ლომელი 6-0
შარლერუა – ეკერენი 2-2
აალსტი – ლიერსი 1-4
კორტრიკი–სენტ.ტრიუდენი 2-2

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ქოლოსკოვმა პირადი დაცვა აიყვანა

ახლა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის კაბინეტის კარს საგანგებო მცველი ჰყავს, რომელიც ჩხრეკავს შემსვლელებს.

ამის გამო კოლოსკოვმა განაცხადა:

– რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატისაგან პირდაპირი მუქარის წერილები მომდის, რომელმაც ჩემს უახლოეს მეგობარს უთხრა შემდეგი: „გადაეცი კოლოსკოვს, რომ თუ იგი თავისი ნებით არ წავა ფედერაციიდან, რაც მოუვა, თავის თავს დააბრალოს“. მანვე სთხოვა მეორე ჩემს ნაცნობს, მინისტრის მოადგილეს, გადმომცეს, რომ „წავიდე მერე კი არა, დღესვე, თორემ მერე გვიან იქნება“. ასეთი მეთოდებით ცდილობენ მომიშორონ დღესვე, მომავალ არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატობიდანაც. ამიტომ სამი დღის წინათ დავიქირავე დაცვა, რომელიც მაცილებს სახლიდან სამსახურში და უკან, აგრეთვე შევატყობინე მუქარის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს.

„ჯერ ოჯახი, შემდეგ ნაკრები“

ასეთი განცხადება გააკეთა „ლივერპულის“ მცველმა 28 წლის სტიგინგე ბიორნებიუმ. იგი აღარ აპირებს ნორვეგიის ნაკრებში გამოსვლას, რომელშიც 70 მატჩი აქვს ჩატარებული.

– ჩემი ამბიციები კვლავინდებურად დიდია, მაგრამ ოჯახს ნაკრებზე მაღლა ვაყენებ.

ნორვეგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნილს-იოჰანსემბმა განაცხადა, რომ თუ ბიორნებიუ გადათქვამს, შეუძლია დაბრუნდეს.

27 გოლი ხუმრობა როდია

რუსეთის პირველი დივიზიონის სნაიპერთა დავა დიდი უპირატესობით მოიგო ბრაზილიელმა თავდამსხმელმა დიასმა (ანდრადინამ), რომელმაც 27 გოლი გაიტანა (აქედან 9 პენალტით) და... ბევრი თამაში გამოტოვა დისკვალიფიკაციის გამო. დიასი ტულის „არსენალში“ თამაშობს.

19 გოლი გაიტანა გავრილინმა რომენსკოეს „სატურნიდან“, აქედან 1 პენალტით, 18 (6 – პენალტით) ნიჟნი ნოვგოროდის ფეხბურთელმა ზუბკოვმა.

აიკ-ი ათგზის ჩემპიონია

უკვე მეათედ გახდა შვეციის ჩემპიონი სტოკჰოლმის ერთ-ერთი უძველესი კლუბი აიკ-ი. ეს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელად მიიჩნიეს, რადგან აიკ-ს შვეციის პირველობაზე არ გაუმარჯვია 1992 წლიდან მოყოლებული. გარდა ამისა, ბოლო ტურამდე პირველ ადგილზე იყო „ჰელსინგბორგი“, მაგრამ იგი სრულიად გაუთვალისწინებლად დამარცხდა „ხეკენთან“ (რომელიც უმაღლეს ლიგას ტოვებს!).

საბოლოოდ, „ჰელსინგბორგი“ მეორე ადგილზე გავიდა, მესამეზე – „ჰამერბიუ“, მეოთხეზე კი შარშანდელი ჩემპიონი „ჰალმსტადი“.

ურჩევენ: სმას შეეშვან და სკოლაში იარონ!

ფეხბურთელებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, როდის და რამდენი დალიონ, – დაასკვნა კლუბ „ჩელსის“ ბოსმა ჯან-ლუკა ვიალიმ და ამ გზით სპორტსმენების უფლებების დამცველადაც მოგვევლინა.

– ჩემი აზრით, – აცხადებს ვიალი, – ალკოჰოლიზმი წმინდა წყლის ინგლისური მოვლენაა – იტალიელებს, მაგალითად, ეს უბედურება პრაქტიკულად არ სჭირთ, სამაგიეროდ სიგარეტს ხელიდან ვერ გააგდებინებ. არადა, გაბოლილი ფილტვები ფეხბურთის თამაშს ალკოჰოლზე ნაკლებ როდი უშლის.

ისე კი, – არ ცხრება ჯანლუკა, – დღეს ფეხბურთელები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, ისეთი წნეხის ქვეშ არიან მოქცეულნი, რომ გულს ალკოჰოლსა და სიგარეტს თუღა აყოლებენ. ასე რომ, აქ გასაკვირი ნამდვილად არაფერია.

– საერთოდ კი, – ასრულებს საკუთარ მონოლოგს ვიალი. – ახალგაზრდა ფეხბურთელებს მაინც ვურჩევდი, მოწევასა და ალკოჰოლს შეეშვან და... სკოლაში იარონ. თორემ ბევრი მათგანი სწავლას თავს 15 წლის ასაკში ანებებს. და როცა, ტრავმის გამო, ფეხბურთსაც ველარ თამაშობს, პრაქტიკულად, უსახსროდ და უპროფესიოდაც რჩება.

მსაჯები ჩაძირავენ „ინტერს“?

ასე თვლის არაერთი იტალიელი კომენტატორი. „მილანთან“ ამასწინანდელ მატჩში (2-2) მსაჯმა ტამბოლინიმ წესების აშკარა დარღვევისას არ დანიშნა პენალტი „მილანის“ კარში, ხოლო, როცა „ინტერის“ მცველებმა უხეშად ითამაშეს განცის წინააღმდეგ, ეს სასჯელი მათ არ ასცდენიათ.

– იმედი მქონდა, რომ მსაჯები შეწყვეტდნენ ჩვენს „ჩაძირვას“ – განაცხადა „ინტერის“ მწვრთნელმა ლუიჯი სიმონიმ – წინათ რაც დაგვმართეს „იუვენტუსთან“, საყოველთაოდაა ცნობილი. ამ ჩემპიონატშიც იგივეს გვიკეთებენ!

ჯერ ტრავმა მოიშუშოს, მერე ვილაპარაკოთ

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“ განაგრძობს თავისი შემადგენლობის გაძლიერებას და 1,77 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა 25 წლის არგენტინელი მცველი მაურისიო ტარიკო.

თუ როგორ გამოადგებათ ლონდონელებს ტარიკო, ეს მაშინ გამოირკვევა, როცა იგი... ტრავმას მოიშუშებს.

რა ხდება ქვეყანაზე

რატომ არ უყვარდა „რკინის ლედის“ ფეხბურთი

დიდი ბრიტანეთის ექს-პრემიერ მინისტრს „რკინის ლედით“ წოდებულ მარგარეტ ტეტჩერი, რბილად რომ ითქვას, სკეპტიკურად იყო განწყობილი მის ქვეყანაში უსაყვარლესი სახეობის მიმართ და არ ესმოდა მისი კაბინეტის მინისტრების, ფანატიკურად რომ უყვარდათ ეს თამაში. ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა კენეტ კლარკმა, რომელიც გულმხურვალედ გულშემატკივრობდა „ნოტინგემ ფორესტს“, ერთხელ ბი-ბი-სის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ტეტჩერს მისი მინისტრთა კაბინეტის „შიდამტრად“ მიაჩნდა ფეხბურთი. ტეტჩერი შოტლანდიაში ერთ-ერთ მატჩზე მოხვედრილა. ყოველგვარი ოვაციისა და ჰიმნების ნაცვლად მას ბრბოს ღრიანცელი მოესმა ორივე გუნდის მიმართ, რამაც ისე შეძრა იგი, რომ გულშემატკივრებს „ხულიგანთა ბრბო“ შეარქვა.

ამიტომაც იყო, რომ იგი ძალზე თანმიმდევრულ პოლიტიკას ატარებდა ბრიტანელი ფანების წინააღმდეგ, რომლებმაც საზღვარგარეთ „ისახელეს“ თავი. ამასთან, ყველაზე თავზეხელაღებული გულშემატკივრების წინააღმდეგ ბრძოლის კურსი მინისტრთა კაბინეტის „ვიწრო წრეში“ შეიმუშავა, რომლებიც არასოდეს დასწრებიან ფეხბურთის მატჩებს.

„ცისფერი აბების“ სიქეთე

მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გერმანელი პეტრა კინდ-შნაიდერს დარღვეული აქვს გულის მოქმედება და ღვიძლიც ძლიერ აწუხებს, რაც ექიმების აზრით, ეს გამოწვეულია აქტიურ სპორტს რომ მისდევდა იგი, ანაბოლიკის შემცავ აბებს ღებულობდა. 34 წლის სპორტსმენმა განაცხადა, რომ „არკი იცოდა ზუსტად თუ რას ღებულობდა“. აბების ყლაპვა მწვრთნელის მითითებით 14 წლისამ დაიწყო. დღეში ოთხჯერ აძლევდნენ „ცისფერ აბებს“, რომლებიც სტეროიდ ორალტურინაბოლს შ[illegible]ავდა. ყოველდღიური ულუფა 20 [illegible]ლიგრამს შეადგენდა. დღეს მოცურავე სერიოზული ავადმყოფია. მოსკოვის ოლიმპიადაზე მას ქალაქ კარლ-მარქს-შტადტის სპორტკლუბის მწვრთნელი ერხარდ მოტესი „მეურვეობდა“. მისი აღზრდილის გამარჯვებისათვის 400 მეტრზე კომპლექსურ და ამავე მანძილზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოპოვებული „ვერცხლისათვის“ მწვრთნელი დაჯილდოვდა ორდენით „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“. იგი მაინის ფრანკფურტში კვლავინდებურად ამზადებს მოცურავეებს.



ჰოლიფილდი ყველაფრისთვის მზადაა

— დაე, ყველამ იცოდეს, რომ მეტოქეებს არ ვემალები, — განაცხადა მსოფლიო ჩემპიონმა ევანდერ ჰოლიფილდმა და ორთაბრძოლაში ბრიტანელი ლენოქს ლიუისი გამოიწვია. ამ უკანასკნელს ხომ კარგა ხანია, ჰოლიფილდისათვის „ცხვირპირის მონგრევის“ დიდი სურვილი სწვავს.



მაგრამ ჰოლიფილდმა საკუთარი თავის ფასიც კარგად იცის, ამიტომ მსოფლიოში უძლიერესის გამოსავლინებელ მატჩში მონაწილეობის კონტრაქტს ხელი მხოლოდ მას შემდეგლა მოაწერა, როცა მის ჰონორარს კიდევ 15 მილიონი დოლარი მიუმატეს. ამდენად, საერთო ჯამში, რინგზე მხოლოდ ერთ გამოსვლაში ის 30 მილიონ დოლარს მიიღებს. მართალია, ეს თანხა სარეკორდო არ არის, მაგრამ არც ჰოლიფილდის მოწინააღმდეგე გახლავთ პირველი სიდიდის ვარსკვლავი, ვთქვათ, იგივე ყურიჭამია მაიკ ტაისონი. თანაც, ლიუისი, ჰოლიფილდისგან განსხვავებით, სულ რაღაც 5 მილიონ დოლარს უნდა დასჯერდეს. ორთაბრძოლა მერმისს 27 თებერვალს ან 6 მარტს შედგება.

ისე კი, ჰოლიფილდი გათავხედებულმა ლიუისმა წონასწორობიდან უკვე იმდენად გამოიყვანა, რომ საჯაროდ ათქმევინა: „არსადაც არ გაგირბივარ და გემალები. თუ ასე მოწადინებული ხარ, ცხვირ-პირს სადაც გინდა იქ დაგინგრევ. თუნდაც შენსავე საძინებელში“-ო. ასე რომ, თუ ლიუისი ცოტა „პატრუქს არ დაუწევს“, შესაძლოა, საკუთარ საძინებელში „სამუდამოდაც“ დასტოვონ.

მკითხველი — გაზეთი

შეკითხვა: ჩემი ბიჭი ამჟამად 12 წლისაა და 5 წელიწადია ფეხბურთის სექციაში დადის (საფეხბურთო სკოლას და მწვრთნელს შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან მდგომარეობა ყველგან ერთნაირია). ბოლო ორი წელიწადია, ყოველთვიურ გადასახადს ანუ სწავლების ქირას ვიხდით, თანხას მწვრთნელი კრიბავს, მაგრამ არა გვგონია დირექციის უნებართვოდ აკეთებდეს ამას.

გთხოვთ გვიპასუხოთ სამართლიანია თუ არა მწვრთნელის (სკოლის) მოქმედება?

მ. იმნაძე, მშობელი (თბილისი)

პასუხი: **რაკი თქვენ შეკითხვას ზოგადად სვამთ, ჩვენც იძულებული ვართ ზოგადად გიპასუხოთ. კერძოდ, სპორტულ სკოლებში (პროფილს არა აქვს მნიშვნელობა), თუ იგი კერძო (საავტორო) არ არის სპორტულ ჯგუფებში მეცადინეობა ყველგან უფასოა, სკოლას, შესაბამისად მწვრთნელთა შემადგენლობას აფინანსებს ესა თუ ის სახელმწიფო ორგანიზაცია (ვთქვათ, განათლება) ან უწყება. ოფიციალურად ასეთ სასწავლო დაწესებულებებში ბავშვებიდან ფულის აკრება ნებადართული არ არის.**

„ტოტო-ლოტო“ – მოთამაშეთა სიხარული!

22 ნოემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის ოცდამეათე გათამაშებით.

«ლოტო 6-42»-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:

3. 14. 18. 26. 28. 34

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 468.90 ლარი.
4 ციფრი – 14.50 ლარი.
3 ციფრი – 1.70 ლარი.

„ჯეკ-პოტი“ 33 114 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

„სუპერ-7“-ის მომგებიანი ციფრებია: **9. 2. 9. 3. 7. 8. 2.**

შემდეგი ტირაჟი შედგება 29 ნოემბერს, ჯეკ-პოტი **33 114** ლარი.

ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი



24 ნოემბერი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ასპარეზი“ (22.35). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9,45; 19.20). უეფას თასის მერვედფინალური შეხვედრა (23.45). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა: „დინამო“ (მოსკოვი) – „ცუგი“ (შვეიცარია) – 0.30. ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (1.35). ***REN TV.*** „სპორტკურიერი“ (0.15). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე“ (15.05; 22.40). ***HTB плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (8.05; 16.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი (9.15). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატი (11.10). კრივი (12.10). სნუკერი (13.35). ბოდიბილდინგი (16.25). ამერიკული ფეხბურთი (17.00; 18.55). საჭადრაკო მიმოხილვა (17.30). გოლფი (18.00). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (21.30; 1.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი (22.15). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (23.10). ***ESPN.*** ფეხბურთი (2.45). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00. 19.30; 1.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (11.30; 15.45; 20.30; 2.30). სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი (13.00; 15.00). რალი (14.30). ჩაგბურთი (22.00; 22.30).

25 ნოემბერი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში: „დინამო-3“ (თბილისი) – ესტონეთის ნაკრები (14.00). ***II არხი.*** „გოლი“ წარმოგიდგენთ ჩემპიონთა ლიგის მატჩს: „ინტერი“ – „რეალი“ (23.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45). ჩემპიონთა ლიგა: „გალათასარაი“ – „იუვენტუსი“ (23.45). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა: „დინამო“ (მოსკოვი) – „ცუგი“ (შვეიცარია) – 15.10. ***HTB.*** ჩემპიონთა ლიგა: „ინტერი“ – „რეალი“ (23.35). ჩემპიონთა ლიგის დღიური (2.20). ***REN TV.*** „სპორტკურიერი“ (21.45; 0.30). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე“ (15.05; 22.40). ***HTB плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (8.05; 16.35). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ინტერი“ – „რეალი“ (23.35); „დინამო“ (კიევი) – „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) – 1.45. ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი (9.05). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (10.10). ჩემპიონთა ლიგა: „სპარტაკი“ (მოსკოვი) – „შტურმი“ (ავსტრია) – 20.05. ***ESPN.*** სუმო (2.30). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00-14.00; 20.30). სუმო (2.30). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00; 14.00; 20.30). ნადირობა (21.30; 22.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფას თასი (11.30; 13.00). ტელეჟურნალი „აფრა“ (15.00). საცხენოსნო სპორტი (15.30). ჩოგბურთი (16.30; 17.00; 22.00; 22.30). სუმო (0.30). კრივი (2.30).

26 ნოემბერი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. იბერია. „ბურთი და მოედანი“ (10.10; 19.20).

კავკასია. „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. HTB.*** ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო მატჩების მიმოხილვა (1.35), ***TB центр.*** საცხენოსნო სპორტი (12.15). ***REH TV.*** „სპორტკურიერი (21.45; 0.30). ***AST.*** „სპორტი ყოველდღე“ (15.05; 22.40). ***HTB плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილი (8.05). ამერიკული ფეხბურთი (8,45). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.15). ჩემპიონთა ლიგის მატჩები (10.15; 15.20; 23.35), ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (1.45), ***ESPN.*** სპორტული ცენტრი (2.30, 4.30; 8.00; 14.00, 20.30; 1.00). საცხენოსნო სპორტი (5.30). კარატე (17.30). ამერიკული ფეხბურთი (22.00). ***EUROSPORT.*** ტელეჟურნალი „აფრა“ (11.30). საცხენოსნო სპორტი (12.00). რაგბი (13.00). თანამედროვე ხუთჭიდი (14.30). მოტოსპორტი (15.30; 3.30). სნოუბორდინგი (16.30). ჩოგბურთი (17.00; 22.00; 22.30). სუპერკროსი (21.00). ფეხბურთი (0.30). კრივი (2.30).

27 ნოემბერი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ასპარეზი“ (21.15). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (12.30; 19.20). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“. ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პოროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. HTB.*** საფეხბურთო კლუბი (18.30). ***REN TV.*** „სპორტკურიერი“ (21.45). ***ACT.*** „სპორტი ყოველ დღე“ (15.05; 22.40). ***HTB плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (8.05; 16.10). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (8.45; 1.10). „ევროპის საფეხბურთო კვირა“ (13.35). კრივი (15.15). როდეო (16.25). ფიგურული ციგურაობა (18.25). ჰოკეი (22.35). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (0.35). ***ESPN.*** კალათბურთი (2.00). ამერიკული ფეხბურთი (5.00). ფეხბურთი (6.00). სპორტული ცენტრი (8.00; 14.00; 20.30; 0.30). ჩოგბურთი (15.30). ნადირობა (23.30). ***EUROSPORT.*** სნოუბორდინგი (11.30). ბობსლეი (12.00). მსოფლიო ჩემპიონატი სამთო თხილამურებში (13.00). ფეხბურთი (14.00). მოტოსპორტი (16.00). ჩოგბურთი (17.00; 22.00, 22.30). რალი (20.30). კრივი (1.30). ექსტრემალური სპორტი (3.00).

28 ნოემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. კალათბურთ. ევროპის ჩემპიონატი: საქართველო – შვედეთი (17.55). ***II არხი.*** ავტოსპორტი (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (11.45; 19.20). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (21.00). ***რუსეთის ტელევიზია. HTB.*** ჰოკეი (14.00). ფიგურული ციგურაობა (0.55). ***TB центр.*** „ფეხბურთი დიალოგებში“ (15.10). ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში: რუსეთი – პორტუგალია (20.00). ***REN TV.*** სპორტი (20.15). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (21.35). ***HTB плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (10.40; 16.15). ჰოკეი (10.55). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (13.50). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (23.55). ***ESPN.*** ფეხბურთი (2.30; 14.00; 21.30). მსოფლიო ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში (1.30). ***EUROSPORT.*** ექსტრემალური სპორტი (11.30). სათხილამურო კროსი (12.00; 14.30). ბობსლეი (14.00; 0.45; 3.00). ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი (17.00; 22.00). ჩოგბურთი (19.00, 20.00). კრივი (4.30).

29 ნოემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (13.05). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები“ (14.45). „ვარსკვლავები“ (18.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***ევრიკა.*** კვირის სპორტი (17.10). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (0.30). ***REH TV.*** „სპორტი“ (16.05). ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგის მატჩი (16.30). „სპორტკურიერი“ (21.45). ***ACT.*** სპორტი (21.35). ***HTB плюс спорт.*** ჰოკეი (10.55). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (18.25). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (19.55), ჰოკეი (23.35). ***ESPN.*** კალათბურთი (2.30). სპორტული ცენტრი (4.00; 8.00; 20.30; 1.30). ჩოგბურთი (18.00). კვირის ღამის ფეხბურთი (22.15), ***EUROSPORT.*** რალი (11.30). სათხილამურო კროსი (12.00; 14.30; 18.15). ბობსლეი (14.00, 21.00). ჩოგბურთი (0.00). სუპერკროსი (2.00). კრივი (3.30).

ფოტოკროსვორდი







თქვენს წინაშეა საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელების ფოტოსურათები. გამოიცანით მათი ვინაობა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ვორონინი, 6. „ბრონდბიუ“, 8. მეგრელაძე, 11. ერერა, 14. როლდო, 15. ხუანიტო, 16. ზამორა, 17. ფალკაო, 21. ქილიტი, 22. ალუზი, 23. „ოსერი“, 26. ჯამარაული, 27. ვიქტორია, 28. გასკოინი. შვეულად: 1. ლომბარდო, 2. შირეა, 3. ზოიძე, 4. კირსტენი, 7. ვერონი, 9. „კრემონეზე“, 10. სოკრატესი, 12. სუარესი, 13. ატლანტა, 18. „ვალენსია“, 19. ელბერი, 20. კარაბინი, 24. მაურო, 25. ოლისე.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს შპს „კოლორის“ დირექტორს გია თაქთაქიშვილს მამის **ნუგზარ თაქთაქიშვილის** გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის ველოფედერაცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს ველოსპორტის უფროს მწვრთნელს ავთანდილ ხახიაურს მამის გარდაცვალების გამო.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(თბილისი)



შამათი 5 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. d8ე! – ცუგცვანგი!
1. ...ლ:c6+ 2. მფ:c6 მფ:a6.
3. ლa8X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე